განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
„მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში“

შპს-ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

20.06.2022

29.07.2022

თბილისი, 2022

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს-ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	2016169304
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მედიახელოვნების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ლიპარტელიანი, ააიპ-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარინე ხიზანიშვილი, შპს-კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან ოჩხიკიძე, სსიპ-საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2022 წლის 17 მაისის ბრძანების (MES 8220000511228) თანახმად 2022 წლის 20 ივნისს დაინიშნა ექსპერტთა ვიზიტი შპს-ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მიერ სააკრედიტაციოდ წარდგენილი (N282102) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის *„მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში“* აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. საგანმანათლებლო პროგრამა ახალია.

საგანმანათლებლო პროგრამა, თვითშეფასების ანგარიში და მასზედ დართული დანართების პორთფოლიო მომზადდა ინსტიტუციის აკადემიური პერსონალის საინიციატივო ჯგუფის მიერ, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების პროცესში მონაწილეობდნენ დაწესებულების ადმინისტრაცია, სტუდენტები მომიჯნავე სპეციალობიდან, დამსაქმებლები, პარტნიორი ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული პირები. საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირებამდე მომზადდა კვლევა. დაწესებულებამ გააანალიზა დარგობრივი საერთაშორისო პრაქტიკა.

წინამოსამზადებელი პროცესი იყო დეტალური და ორიენტირებული უწინარეს ყოვლის ბაზრის შესწავლაზე. ბაზრის კვლევისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოწვეული იყო იმ რეალური მოცემულობიდან, რომ პროგრამის ზუსტი ანალოგი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არ დაიძებნა, შესაბამისად, არ არსებობდა არც გამოცდილებაც. აკადემიური პერსონალის ინტერესებში შედიოდა მოსამზადებელ პერიოდში ჩაეტარებინა ზუსტი მოკვლევისა და შედარების პროცესი, რაც მათ გაიყვანდა რეალურ შედეგსა და ქართული საგანმანათლებლო ბაზრისათვის მეტწილად მისადაგებულ შედეგზე. პროგრამასთან მიმართებაში საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფმა წარმოადგინა პროგრამის უცხოური ანალოგები, თუმცა დეტალური ანალიზი არ იყო შესრულებული. საგანმანათლებლო პროგრამას გაეცნო ქართველი ექსპერტი და ასევე წარმოდგენილია ექსპერტის მხარდამჭერი წერილი.

საგანმანათლებლო პროგრამა არის 240 კრედიტიანი, რომელშიც 150 კრედიტი მოიცავს სავალდებულო დარგობრივი პროფილის სასწავლო კურსებს. პროგრამის მიზანია შრომის ბაზარს შესთავაზოს მაღალკვალიფიციური პროფესიონალი მედიახელოვნებისა და რეკლამის დარგის მრავალფეროვან ვიზუალურ სარეკლამო სფეროში, რომელიც მოცემულ სფეროებში შექმნის პროდუქციას, რომელიც დააკმაყოფილებს ბაზრის დღევანდელ მოთხოვნას. აღსანიშნავია, რომ საკვალიფიკაციო ნაშრომი, რომელიც 18 კრედიტს ფარავს, პროგრამა ითვალისწინებ 9 კრედიტის მოცულობის პრაქტიკული კომპონენტის პორტფოლიოს წარდგენას. დარგობრივი კომპეტენციის გაღრმავების მიზნით სტუდენტი ირჩევს 26 კრედიტის ფარდ არჩევით სასწავლო კურსებს. თავისუფალი კომპონენტები მოიცავს 37 კრედიტს, მათ შორის 27 - სავალდებულო და 10 არჩევითი კრედიტი, რომელიც სტუდენტს გამოუმუშავებს ტრანსფერულ უნარებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს-ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 17 მაისის ბრძანების (N282102) თანახმად. ვიზიტი წარიმართა ადგილზე 20 ივნისს, წინასწარ განსაზღვრულ ვადებსა და დღის წესრიგის მიხედვით.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე ჩაატარა წინასწარ მოსამზადებელი შეხვედრა, სადაც ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა აზრი გამოთქვეს წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელოვან ასპექტებზე, განისაზღვრა ძირითადი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუების მიმდინარეობისას ცალკეული ბუნდოვანი ადგილების დაზუსტების მიზნით.

აკრედიტაციის ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული, ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა დღის წესრიგით გათვალისწინებული სესიების მიხედვით. ადმინისტრაციულმა და აკადემიურმა პერსონალმა უზრუნველყო კომისიის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების ოპერატიული

წარდგენა. შეხვედრები წარიმართა კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში. ინტერვიუები ჩატარდა ღიად და გულახდილად, რამაც ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა მისცა ზედმიწევნით და ამომწურავად შეეჯერებინათ დოკუმენტური მასალები რეალურ ვითარებასთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოწოდებული მასალების შესწავლის, თემატურ ინტერვიუების შეჯერების, ასევე აკრედიტაციის შეფასების დროს დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს ჩამოუყალიბდა კონკრეტული შეხედულებები, მოსაზრებები და კონკრეტული რჩევები შპს-ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „*მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში*“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფი არსებული მონაცემებიდან გამომდინარე ადგენს, რომ პროგრამა 1,3,4 და 5 სტანდარტის მიხედვით შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების აკრედიტაციის სტანდარტთან, ხოლო მე-2 სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

№	სტანდარტი	შეფასება
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით გამოთქმული რეკომენდაციები და რჩევები წარმოდგენილია დარგობრივი ექსპერტების მიერ, ამავე ექსპერტების მოსაზრებით ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებასა და ეფექტურ განხორციელებას.

- **რეკომენდაციები**

კომპონენტი 1.2

რეკომენდებულია პროგრამის მიზნიდან გამომდინარე საბოლოო შედეგების მისაღწევად გადაიხედოს სასწავლო გეგმა სასწავლო კურსების სტატუსის კორექტირების მიზნით.

კომპონენტი 2.2

რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსების სტატუსი, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შედეგების თანხვედრას.

კომპონენტი 2.3

- ✓ რეკომენდებულია, სასწავლო კურსების ანალიზის შედეგად წარმოდგენილი განმარტებები შესწავლილ იქნას საგანმანათლებლო პროგრამის მხარდამჭერი კომისიის მიერ და შემუშავდეს ცვლილებები პროგრამის სრულყოფის მიზნით.
- ✓ რეკომენდებულია, მიზანმიმართულად დაკორექტირდეს პრაქტიკული კომპონენტი მედია პროდუქციის დაპროექტება (9 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტი - საკვალიფიკაციო ნაშრომი - პროექტი (18 კრედიტი)
- ✓ რეკომენდებულია, რუსულენოვანი ან მოძველებული ლიტერატურის ჩანაცვლება და განახლება.

კომპონენტი 2.5

რეკომენდებულია, სწავლა-სწავლების მეთოდები გაიწეროს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

კომპონენტი 2.6

- ✓ რეკომენდებულია, სასწავლო კურსების შეფასების სქემა წარმოდგენილ იქნას საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე

კომპონენტი 4.4
რეკომენდირებულია, შემუშავდეს პროგრამის საჭიროებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, ფინანსური რესურსების გადანაწილების დოკუმენტი (დამოუკიდებელი პროგრამული ბიუჯეტი).

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

კომპონენტი 1.1
- ✓ სასურველია მიზნების ჩამოსაყალიბებლად გამოყენებული იქნას ზუსტი და მორგებული დარგობრივი ტერმინები და ცნებები.

კომპონენტი 2.1
- ✓ სასურველია, წინაპირობებში დეტალურად იქნეს აღწერილი პროგრამაზე დაშვების ყველა შესაძლო შემთხვევა პოტენციურ სტუდენტთა მეტი ინფორმირებულობის მიზნით.

კომპონენტი 2.2
- ✓ სასურველია, უსდ-მ შეიმუშავოს მონაცემთა შედარებითი ანალიზი, ბენჩმარკინგის წარმოდგენის დროს, რათა განიმარტოს საერთაშორისო გამოცდილების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების არსი.

კომპონენტი 2.4
- ✓ სასურველია, გაფართოვდეს თანამშრომლობა პრაქტიკის დარგობრივ ობიექტებთან და შემოქმედებითი მიმართულების უცხოური უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებთან, შემუშავდეს შესაბამისი მემორანდუმები.

კომპონენტი 5.1
- ✓ სასურველია მომზადდეს ქართულ და ევროპულ, ისევე როგორც ამერიკულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამის შედარებითი ანალიზი;

კომპონენტი 5.2
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის ამუშავების შემდგომ სასურველია პროგრამა შეფასებულ იქნას დარგის უცხოელ ექსპერტთა მიერ, მისი შემდგომი განვითარებისა და დარგში კონკურენტუნარიანი სპეციალისტების გამოშვების მიზნით.

კომპონენტი 5.3
- ✓ პროგრამის განხორციელების შემდგომ სასურველია ინსტიტუციაში მონიტორინგის პროცესი, საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფის მიზნით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- **ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის გაზიარების/არგაზიარების შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ-ს არგუმენტირებულ წერილს დასკვნის პროექტთან მიმართებაში, რომელშიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება გარკვეულწილად ეთანხმება დარგის ექსპერტთა პოზიციას. რაც შეეხება ცალკეულ რეკომენდაციებს, რომელთა შესახებ დაწესებულება გამოთქვამს გარკვეულ ოპოზიციურ მოსაზრებას, დარგის ექსპერტები ცალკეული დეტალების დაზუსტების მიზნით უფლებას იტოვებენ არ დაეთანხმოთ დაწესებულების საპირისპირო პოზიციას და დაელოდონ საკითხის საჯარო განხილვას არგუმენტების გაფართოების მიზნით აკრედიტაციის საბჭოს ფორმატში. მოცემულ ეტაპზე საგანმანათლებლო პროგრამისადმი წარდგენილი რეკომენდაციები და რჩევები რჩება უცვლელი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უსდ მისიასთან, რომელიც ითვალისწინებს როგორც სტუდენტების თანამედროვე ცოდნით აღჭურვას, ასევე შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უსდ სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, რომელშიც საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა ძირითად პრიორიტეტებად არის განსაზღვრული. ინტერვიუების დროს უსდ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განმარტეს პროგრამის მიზნები, როგორც ხელოვნებისა და ტექნოლოგიების ერთობლიობა, პროგრამის ინიციატორებად დაასახელეს მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები. მათი ინტერესების გათვალისწინებით მოხდა მედია ხელოვნების მიმართულებით სასწავლო პროგრამის შემუშავება. შემოქმედებითი პროექტების დაფინანსება ან/და ხელშეწყობასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შემოქმედებითი პროექტების მხარდაჭერა განხორციელდება ცენტრალური და სკოლის ბიუჯეტიდან. (ბიუჯეტთან დაკავშირებით იხილეთ 4.4) „მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში მიზანი ჩამოყალიბებულია, თუმცა ექსპერტების მიერ მიზნების შესწავლის შემდეგ გამოიკვეთა დასაზუსტებელი საკითხები, კერძოდ მიზნებისა და შედეგების რუკაზე ფორმულირებისას უმჯობესია გამოყენებული იყოს მედია ხელოვნების დარგის შესაბამისი ტერმინები, საჭიროა გარკვეული ტერმინების კორექტირება, განზოგადებული ფართო ცნებების დაკონკრეტება ან კონკრეტულის რეფორმულირება დარგის და სასწავლო კურსების შინაარსის შესაბამისად. ასევე, მიზნის მისაღწევად გარკვეული სასწავლო კურსების ძირითად სასწავლო კურსებში გადანაცვლება. მიზნების და შედეგების აღწერაში ხშირად გვხვდება ტერმინი **მედია, ქსელური და მობაილ პროდუქციის შექმნა** აჯობებს ფორმულირდეს **გრაფიკული და ციფრული შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა ან გრაფიკული და ციფრული მედია პროდუქტების შექმნა.** გარკვეული ტერმინების კორექტირების მაგალითისთვის: მიზნების და შედეგების რუკა, მიზანი#1 “შეასწავლოს მედია ხელოვნების ფართო სფერო, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, **მედია, ქსელური და მობაილ პროდუქციის შექმნას, განვითარებასა და ანალიზს, სარეკლამო გარემოს დიზაინსა და მისი განვითარების მეთოდებს”;** დარგის ექსპერტთა პოზიციიდან გამომდინარე ჩანაწერი უნდა იკითხებოდეს: - “შეასწავლოს მედია ხელოვნების ფართო სფერო, **გრაფიკული დიზაინის** (სარეკლამო დიზაინის საფუძვლები/ბრენდბუქი, შეფუთვის დიზაინი, შრიფტის დიზაინი და ტიპოგრაფია, პოსტერის დიზაინი, ვიზუალური კომუნიკაცია გრაფიკულ დიზაინში, ილუსტრაცია და ა.შ.), **ციფრული დიზაინის** (ფოტოგრაფია და რეტუში, ვებ და აპლიკაციის დიზაინი, UX/UI, მოძრავი გრაფიკა, პერსონაჟის ანიმაცია, მულტიმედია დიზაინი და ა.შ.) თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, **ციფრული მედია პროდუქტების,** როგორც დამოუკიდებელი

შემოქმედებითი პროექტების, ასევე სარეკლამო პროდუქციის წარმოებისათვის - იდეიდან განხორციელებამდე. ასევე, მიზნებში იკითხება, კურიკულუმის მიზანია, რომ სტუდენტს "შეასწავლოს მედია ხელოვნების ფართო სფერო, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრება", შესაბამისად, მედია ხელოვნების ფართო სფეროს თეორიებისა და პრინციპების აღქმისათვის, მნიშვნელოვანია სასწავლო კურსს "მსოფლიო ხელოვნების შედევრები 1" (რამდენადაც, სასწავლო კურსი მოიცავს თანამედროვე ხელოვნებას და სასურველია მისი გაღრმავება) ქონდეს სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსი, რაც უზრუნველყოფს მიზნებისა და შედეგების სრულყოფილად მიღწევას. მიზნებში გამოიკვეთა სარეკლამო დიზაინის საკითხი. სარეკლამო დიზაინი, როგორც ტერმინი გამოიყენება კონკრეტული მიმართულებისათვის და ემყარება პრინციპს მარკეტინგი+დიზაინი, რამდენადაც პროგრამა არ მოიცავს მარკეტინგისა და ბრენდინგის თეორიულ ასპექტებს სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში. (მსჯელობა იხილეთ კომპონენტში 2.3).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უსდ-ს მისია • სტრატეგიული განვითარების გეგმა • პროგრამა • უსდ-ს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა • მიზნების და შედეგების რუკა • შრომის ბაზრის კვლევა • ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: - სასურველია მიზნების ჩამოსაყალიბებლად გამოყენებული იქნას ზუსტი და მორგებული დარგობრივი ტერმინები და ცნებები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია 3 კომპონენტით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. ჩამოყალიბებული პროგრამის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის აღმწერს. პროგრამის მიზნების და შედეგების რუკაზე წარმოდგებილია 6 მიზანი და შესაბამისი 6 შედეგი, სწავლის შედეგები წარმოდგენილია კურიკულუმში 10 პუნქტად სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით. სწავლის შედეგების რუკაზე სასწავლო კურსების შედეგები 3 კატეგორიას

მოიცავს: გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება. სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემული სწავლის შედეგები შეესაბამება შედეგების რუკაზე მოცემულ 3 კატეგორიას. მიზნებიდან გამომდინარე, შედეგების მისაღწევად სასწავლო პროგრამაში შემოთავაზებულია კონკრეტული სასწავლო კურსები, როგორც სავალდებულო ასევე არჩევითი სტატუსით. სასწავლო კურსების შინაარსიდან გამომდინარე პროგრამის განმახორციელებლებს შემუშავებული აქვთ პროგრამის განზოგადებული შედეგები. დარგის ექსპერტებმა შეისწავლეს რა, მიზანებისა და შედეგების ურთიერთმიმართება, ნათელი გახდა, რომ მიზნებში ჩამოყალიბებული პირველი და მესამე პუნქტების შედეგის მიღწევა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, გამომდინარე სასწავლო კურსების სტატუსიდან. (სასწავლო კურსები "მსოფლიო ხელოვნების შედევრები 1" (მეტი აქცენტით თანამედროვე ხელოვნებაზე), "ბრენდის სტრატეგიული მართვის საფუძვლები", "ინოვაციური და კრეატიული მართვის საფუძვლები" სავალდებულო არჩევითია).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უსდ-ს მისია; • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • უსდ-ს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა; • მიზნების და შედეგების რუკა; • თვითშეფასების ანგარიში; • აკრედიტაციის პროცესში წარმართული ინტერვიუები
რეკომენდაციები: რეკომენდებულია პროგრამის მიზნიდან გამომდინარე საბოლოო შედეგების მისაღწევად გადაიხედოს სასწავლო გეგმა სასწავლო კურსების სტატუსის კორექტირების მიზნით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. კერძოდ, საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. საბაკალავრო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოცემული ჩანაწერი ძალზედ ზოგადია, ნაწილობრივ ბუნდოვანი პოტენციური სტუდენტისათვის, ასე მაგალითად, მობილობის ფარგლებში პროგრამაზე დაშვების პირობები და ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქის პროგრამაზე დაშვების შესაძლებლობა. სასურველია, წინაპირობებში დეტალურად იქნეს აღწერილი ყველა შესაძლო შემთხვევა, რაც განმარტებული იქნა ინტერვიუების დროსაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • ექსპერტიზის პროცესში წარმართული ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, წინაპირობებში დეტალურად იქნეს აღწერილი პროგრამაზე დაშვების ყველა შესაძლო შემთხვევა პოტენციურ სტუდენტთა მეტი ინფორმირებულობის მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, რომელიც ასახულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის წესში. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი პროგრამა ოთხწლიანიადა შედგება რვა სემესტრისგან. საგანმანათლებლო პროგრამა არის სახელოვნებო-შემოქმედებითი პროგრამა, რომელიც მოიცავს 240 ECTS კრედიტს. ერთი სემესტრი მოიცავს 20 სასწავლო კვირას, შესაბამისად, სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, სტუდენტის როგორც საკონტაქტო დატვირთვის დროს, ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისათვის განკუთვნილი დრო).

პროგრამა სტრუქტურულად დაყოფილია :

ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსებში სტუდენტი აგროვებს 150 კრედიტს;

სავალდებულო კვლევითი კომპონენტი - საკვალიფიკაციო ნაშრომი 18 კრედიტის მოცულობით;

სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტი(პორტფოლიო) 9 კრედიტის მოცულობით;

ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევით სასწავლო კურსებში სტუდენტი აგროვებს 26 კრედიტს;

თავისუფალი კომპონენტის ნაწილში სტუდენტი აგროვებს 37 კრედიტს, რომელიც მოიცავს 27 სავალდებულო კრედიტს და 10 არჩევით კრედიტს, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტს ჩამოიყალიბოს და/ან გაიღრმავოს ზოგადი ტრანსფერული უნარები და გაიფართოვოს თვალსაწიერი მისთვის საინტერესო სფეროებში.

თავისუფალი კომპონენტის არჩევით ნაწილში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს 10 კრედიტი არა მხოლოდ წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამიდან, არამედ შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სხვა, იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან ან საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული იმავე საფეხურის აკრედიტებული აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან ან უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან, თუ ეს კრედიტები შესაბამისად აღიარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიერ.

დარგობრივი ინგლისური ენის განსავითარებლად პროგრამა ითვალისწინებს სავალდებულო სასწავლო კურსებს.

პროგრამის სტრუქტურა მეტწილად გამართულია, მდიდარია შემოქმედებითი სასწავლო კურსებით და ძლიერი ტექნიკური კომპონენტებით. მიზნებისა და შედეგის მისაღწევად სასურველია გარკვეული სასწავლო კურსების შინაარსის უკეთ ჩამოყალიბება, გამდიდრება და გაღრმავება. ასევე, პროგრამის ლოგიკური განვითარებისთვის რამოდენიმე საგნისათვის სტატუსის ცვლილება სავალდებულო არჩევითიდან ძირითადზე და წინაპირობების განსაზღვრა.

პროგრამის სტრუქტურაში ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში არ მოხვდა საგნები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მისაღწევადობას (#1), მიზნების და შედეგების ურთიერთშეპირისპირების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა სავალდებულოდ მიიჩნია ცალკეული სასწავლო კურსების სტატუსის კორექტირება. მათ შორის "მსოფლიო ხელოვნების შედევრები 1" სწავლება თანამედროვე ხელოვნებაზე (from modern to contemporaty) მეტი აქცენტით. თანამედროვე ხელოვნების ძირითადი ასპექტების და განვითარების დინამიკის ცოდნა და ვიზუალური კომუნიკაციის, რეკლამის, ვიდეო არტის პირველი ნაბიჯების გააზრება, კრიტიკული აზროვნება და მსჯელობა სტუდენტს ჩამოუყალიბებს მიმდინარეობების და სტილების იდენტიფიცირების უნარს, რაც მოიცავს გრაფიკული და ციფრული დიზაინისათვის მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორიცაა კონცეპტუალური აზროვნება, ვიზუალური სტილის აღქმის და ჩამოყალიბების უნარი, და ფუნდამენტური საკითხების ცოდნის ბაზაზე ახლის შექმნის უნარი და ა.შ.

პროგრამის სტრუქტურაში ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში არ

მოხვდა საგნები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მისაღწევადობას (#1 #3), "ბრენდის სტრატეგიული მართვის საფუძვლები", რაც თავისი შინაარსით მოიცავს მარკეტინგის ზოგადი მიმოხილვიდან ბრენდის ჩამოყალიბების პროცესს, ბრენდის არქიტექტურას, ბრენდის პოტენციალთან და კორპორატიულ ბრენდირებასთან და გლობალურ ხედვებს ბრენდებთან მიმართებაში. ასევე, სასწავლო კურსი "ინოვაციური და კრეატიული მართვის საფუძვლები" შინაარსობრივად მოიცავს იდეების ფორმირების მნიშვნელოვან ასპექტებს ეხება, როგორიცაა კრეატიული იდეების ჩამოყალიბება ბიზნეს ამოცანების შესაბამისად, იდეების რუკების (mind map საჭირო ხერხია) შექმნას და გამოყენებას, ინოვაციის მიწოდებას ბაზარზე და სხვა, რაც სტუდენტს ჩამოუყალიბებს კონცეპტუალურ და სტრატეგიულ ხედვას შემოქმედებითი ხედვების პარალელურად, ეს ნაზავი ქმნის სარეკლამო დიზაინის პროდუქტებს. სასწავლო კურსების სილაბუსში აღწერილი ამ და სხვა ასპექტების ცოდნა, უზრუნველყოფს მიზნების და შედეგების მიღწევას. პროგრამის მიზნების შემუშავების პროცესში პროგრამის სტრუქტურის ჩამოყალიბების მიზნით უსდ-მ იკვლია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამები. უსდ-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - პროგრამის ანალოგები (ბენჩმარკინგი) საბაკალავრო პროგრამაზე „მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში" აქცენტი კეთდება შემოქმედებისა და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ნაზავზე, რაც უსდ-ს მიერ გათვალისწინებული იქნა პროგრამის შედგენისას. უსდ-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - პროგრამის ანალოგები (ბენჩმარკინგი) საბაკალავრო პროგრამაზე „მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში" წარმოდგენილია რამოდენიმე უნივერსიტეტი, რომელიც ახორციელებს პროგრამებს მედია ხელოვნების მიმართულებით, ისინი თავისი შინაარსით და მოდელით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რამდენადაც სფერო დიდია და იძლევა ერთი ან რამოდენიმე ფოკუსის ინტეგრირების საშუალებას ერთ სასწავლო პროგრამაში. შემოთავაზებული პროგრამა ვითარდება გრაფიკული და ციფრული დიზაინის, ციფრული მედია პროდუქტების მიმართულებით, რაც მედია ხელოვნების ერთერთი მსხვილი შემადგენელი ნაწილია. სასურველია, მსგავსი ანალიტიკური პროდუქტის შექმნის დროს მნიშვნელოვანია უსდ-მ შეიმუშავოს მონაცემთა შედარებითი ანალიზი, რათა განიმარტოს საერთაშორისო გამოცდილების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების არსი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • აკადემიური პროგრამის მატრიცული რუკა; • თვითშეფასების ანგარიში; • ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსების სტატუსი, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შედეგების თანხვედრას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, უსდ-მ შეიმუშავოს მონაცემთა შედარებითი ანალიზი, ბენჩმარკინგის წარმოდგენის დროს, რათა განიმარტოს საერთაშორისო გამოცდილების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების არსი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს სთავაზობს მრავალფეროვან სასწავლო კურსებს, როგორც ზოგად საუნივერსიტეტო სავალდებულო და არჩევითებს, ასევე, დარგობრივ სავალდებულო და არჩევით კურსებს. პროგრამაში თეორიული და პრაქტიკული საგნები დაბალანსებულია. პროგრამაში სრულყოფილად და თანმიმდევრულადაა წარმოდგენილი ტექნოლოგიების მიმართულების სასწავლო კურსები. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შეეთავაზებათ რასტრული და ვექტორული გრაფიკის კურსები, ვებ დიზაინის გრაფიკული საფუძვლები, კომპიუტერული მოდელირება(3D-MAX). სარეკლამო მულტიმედია დიზაინი (after affect), მომხმარებლის ინტერფეისის დიზაინი(UX/UI Experiaence Design (XD)) და სხვ. კურსებს შორის ბმები ლოგიკურადაა ასახული წინაპირობებში. სილაბუსები ითვალისწინებს მრავალფეროვან პრაქტიკულ დავალებებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანის ტექნოლოგიების სიღრმისეული შესწავლისთვის. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, აცდენაა ერთერთი კურსის დასახელებაში. კერძოდ, სილაბუსის მიხედვით კურსს ქვია „ვიზუალური მეთოდები წიგნის დიზაინში (კომპგრაფიკა AdobeInDesign)“, ხოლო სასწავლო გეგმაში (დანართი 1) და სწავლის შედეგების რუკაში (3) კი კურსი წარმოდგენილია დასახელებით „კომპიუტერული გრაფიკა Adobe InDesign“. სასურველია, გასწორდეს შეცდომა და კურსის დასახელებად განისაზღვროს „ვიზუალური მეთოდები წიგნის დიზაინში (AdobeInDesign)“ სასწავლო კურსი “მსოფლიო ხელოვნების შედევრები 1 და 2” სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში გვხვდება რუსულენოვანი ლიტერატურა და ელექტრონული მასალები, საბჭოთა პერიოდის მასალები. ასევე, სასწავლო კურსის სილაბუსში “საინფორმაციო საზოგადოება და კომუნიკაციები” გამოყენებულია რუსულენოვანი ლიტერატურა და “ეთნოფსიქოლოგია სახვით ხელოვნებაში” სავალდებულო ლიტერატურის ნაწილი მოძველებულია და საჭიროებს განახლებას. სასწავლო კურსი “ჩანახატის საფუძვლები” მოიცავს კადრირების სწავლებას სცენარის საფუძველზე, რაც თავის მხრივ მოითხოვს ხატვის უნარებს, პერსონაჟის და გარემოს ჩანახატების შესრულებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსის პარალელურად ისწავლება “ხატვა 2’, ელემენტარული უნარები “ხატვა 1” უნდა ჩაითვალოს წინაპირობად. სილაბუსის შინაარსიდან გამომდინარე, უმჯობესია სასწავლო კურსს ერქვას “სცენარი და კადრირება” (script & storyboarding), როგორც მედია ხელოვნების დარგში გავრცელებული ტერმინი/სასწავლო კურსის დასახელება. სასწავლო კურსი “კომპოზიციის საფუძვლები”, გაღრმავდეს სილაბუსში მოცემული მიზნისა და სწავლის შედეგის შესაბამისად, სილაბუსის შინაარსი მეტისმეტად ზედაპირულია. ასევე, სილაბუსში მოცემული შედგების გათვალისწინებით, სადაც აქცენტი კეთდება კომპოზიციაზე დიზაინში, ფორმებზე და ფერის ეფექტურ გამოყენებაზე, ლოგიკურია ამ სასწავლო კურსის წინაპირობად ჩაითვალის “ფერთა თეორიის საფუძვლები” და “ხატვა 1”. სილაბუსში მითითებულია ლიტერატურა David A.(David A. Lauer) Lauer, Stephen Pentak 2007 წლის გამოცემა, დასაახლებელია 2015 წლის გამოცემით. ფოტოდიზაინი, ასევე, ძალიან სპეციფიური ტერმინია. სასწავლო კურსი ”ფოტოდიზაინის შესავალი” შინაარსობრივად არის “შესავალი ფოტოგრაფიაში”, რამდენადაც კურსი მოიცავს შემოქმედებით და ტექნიკურ ასპექტებს, სტუდიურ გადაღებებს და განათებასთან მუშაობას,

უმჯობესი იქნება მედია ხელოვნების დარგში გავრცელებული და გასაგები ტერმინის გამოყენება - ფოტოგრაფია და არა ფოტოდიზაინი.
სასწავლო კურსი "სარეკლამო დიზაინის საფუძვლები" მოიცავს ბრენდის ლოგოტიპისა და ვიზუალური იდენტობის შექმნას და ბრენდის გაიდლაინის ორგანიზებას(ბრენდბუქი), სილაბუსში აღწერილი სწავლის შედეგის მისაღწევად, მნიშვნელოვანია სასწავლო კურსს წინაპირობად ქონდეს "შრიფტის დიზაინი და ტიპოგრაფია", რამდენადაც ფონტები ბრენდის გაიდლაინის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და ლოგოტიპის შექმნაც შეუძლებელია ამ უნარების გარეშე.
ასევე, სასწავლო კურსს "შრიფტის დიზაინი და ტიპოგრაფია" წინაპირობად ჭირდება Adobe Illustrator, რამდენადაც ტიპოგრაფიული კომპოზიციის, ადაპტაციის ან სხვა დავალების შესასრულებლად აუცილებელია ვექტორული პროგრამის ფლობა.
სასწავლო კურსი "ვებ დიზაინის საფუძვლები" არის სავალდებულო სასწავლო კურსებში და "მომხმარებლის ინტერფეისის დიზაინი UX/UI" სავალდებულო არჩევითი კურსებში. რამდენადაც საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში აქცენტი კეთდება ციფრული პროდუქტების წარმოებაზე, სასწავლო კურსების შინაარსის გათვალისწინებით უმჯობესი იქნება საგნები გაერთიანდეს და ქონდეს ძირითადი სასწავლო კურსის სტატუსი.
საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნითი კვლევითი კომპონენტი საკვალიფიკაციო ნაშრომი - პროექტი (18 კრედიტი) რიგ შემთხვევაში გადახრილია სასწავლო პროგრამის შინაარსიდან, აცდენილია სასწავლო კურსების ერთობლიობის შედეგს - შემოქმედებით პროექტს. დასკვნითი კვლევითი კომპონენტის სილაბუსში ვკითხულობთ: " **კვლევითი კომპონენტის** შესრულების მიზანია შეასწავლოს სტუდენტს - საკვალიფიკაციო ნაშრომის - დარგობრივი ან/და ინტერდისციპლინალური პროექტების შექმნა და დემონსტრირება. საკვალიფიკაციო პროექტი არის კომპაქტ დისკზე ჩაწერილი ან ვებ გვერდზე განთავსებული საერთო შინაარსით შეკრული, სტრუქტურირებული **მედია, ქსელური, მობაილ პროდუქტი**, შესრულებული ვიზუალური მეთოდების/ტექნოლოგიების გამოყენებით, თანდართული განმარტებითი ბარათით. საკვალიფიკაციო პროექტში შესაძლებელია შევიდეს გრაფიკული და ანიმაციური თვალსაჩინო მოდელები, ვიდეო, აუდიო, ფოტო და ტექსტური მასალა. განმარტებითი ბარათი წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომის შექმნის მიზნის, დანიშნულების, სამუშაო ეტაპების და სტრუქტურულ- შინაარსობრივ აღწერას, **სამიზნე აუდიტორიის ჯგუფების განსაზღვრას, მოსალოდნელი შედეგების და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებას**."
საგანმანათლებლო პროგრამა, თავისი შინაარსით და კვალიფიკაციით არის შემოქმედებითი, სახელოვნებო მიმართულების პროგრამა, რომელშიც არ არის სასწავლო კურსები კვლევის მეთოდების მიმართულებით. ამ ფორმულირებით გაუგებარია რა მიზანს ემსახურება დასკვნითი **მედია, ქსელური, მობაილ პროდუქტი**(ტერმინის შესახებ აღნიშნულია ქვეთავში 1.1)**, თუ არა შემოქმედებით ციფრულ მედია პროდუქტებს.** ამავე დროს, შედეგებში ვხვდებით ვრცელ ჩამონათვალს, სადაც:

- მოიძიებს და განმარტავს მედია ხელოვნების და რეკლამის დარგში მედია, ქსელური და მობაილ პროდუქციის და დიზაინში ვიზუალური მეთოდების სფეროსათვის დამახასიათებელ მონაცემებს; - **დასაზუსტებელია მედია ხელოვნების და რეკლამის დარგში მედია, ქსელურ და მობაილ პროდუქცია, ან დიზაინში ვიზუალური მეთოდების რა დამახასიათებელ მონაცემებზეა საუბარი. ეს ტერმინები და ფორმულირება ბუნდოვანი და დამაბნეველია, მედია ხელოვნების დარგობრივ ტერმინოლოგიას.**
- ავლენს სარეკლამო დიზაინში ვიზუალური მეთოდების ეფექტურად გამოყენების უნარს მედიაპროდუქციის შექმნასა და მართვაში; ამასთან ერთად ფლობს კომპიუტერული გრაფიკის, ანიმაციის, დაპროექტების ორ და სამგანზომილებიან და აუდიო-ვიდეო სისტემებს; - **დასაკონკრეტებელია რა იგულისხმება მედია პროდუქციის მართვაში, რაც თავის მხრივ ცდება შემოქმედებით სფეროს. ასევე, რა ტიპის აუდიო-ვიდეო სისტემებზეა საუბარი. ამ კომპეტენციის დამადასტურებელი სასწავლო კურსები არ არის ძირითადი სასწავლო კურსების ჩამონათვალში.**

- განსაზღვრავს სამიზნე აუდიტორიას და მოსალოდნელი შედეგების სადაბუთებას; **ამ კომპეტენციის დამადასტურებელი სასწავლო კურსები არ არის ძირითადი სასწავლო კურსების ჩამონათვალში.**

სწავლება-სწავლის მეთოდებსა და აქტივობებში ვკითხულობთ:

"საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში ამა თუ იმ მეთოდის თუ მეთოდთა კომბინაციის გამოყენება დამოკიდებულია კონკრეტული საკვალიფიკაციო ნაშრომის თემაზე, კვლევის ობიექტისა და საგნის სპეციფიკაზე, დასახულ მიზნებსა და ამოცანებზე."- **აქცენტი კეთდება კვლევის მეთოდებზე, მათ კომბინაციაზე და კვლევის ობიექტზე, მაშინ როდესაც სტუდენტი არ ფლობს ამ კომპეტენციას, რადგან შესაბამისი სასწავლო კურსები არ არის ძირითადი სასწავლო კურსების ჩამონათვალში.**

საკვალიფიკაციო ნაშრომის მიმართ წაყენებული მოთხოვნები არ შეესაბამება საბაკალავრო, სახელოვნებო დარგის შემოქმედებითი დასკვნითი პროექტის მოთხოვნებს. არადარგობრივი ტერმინები უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს ხელოვნების დარგის პროგრამის შინაარსის შესაბამისად.

"პრაქტიკული კომპონენტი-მედია პროდუქციის დაპროექტება" (9 კრედიტი) - თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, როგორც "პრაქტიკული კომპონენტი(პორტფოლიო)". ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა პორტფოლიოს მნიშვნელობას, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელოვან შედეგს, რაც შესაბამისობაშია კრეატიული ინდუსტრიისა და მედია ხელოვნების დარგის მოთხოვნებთან ადგილობრივი თუ საერთაშორისო მასშტაბით. თუმცა, სილაბუსში "პრაქტიკული კომპონენტი - მედია პროდუქციის დაპროექტება" სწავლება-სწავლის მეთოდებსა და აქტივობებში აქცენტი ისევ კეთდება კვლევის ობიექტზე და საგანზე, კვლევის მეთოდებზე. ასევე, მენტორი მოხსენიებულია როგორც პრაქტიკის ხელმძღვანელი, და სტუდენტს მოეთხოვება პრაქტიკის ანგარიშის მომზადება შესრულებული სამუშაოს სტრუქტურულ-შინაარსობრივი აღწერით. ეს ჩანაწერი იკითხება, როგორც სტაჟირების კომპონენტი, როდესაც სტუდენტი გარკვეულ პერიოდს ატარებს კომპანიაში (უსდ-სა და კომპანიებს შორის თანამშრომლობის ფარგლებში, რაც გამყარებულია მემორანდუმით) შესაბამის პოზიციაზე და შემდეგ ახდენს პრაქტიკის პერიოდში განხორციელებული პროექტების პრეზენტაციას.

თუ პრაქტიკული კომპონენტი მოიაზრებს პორტფოლიოს შექმნას, როგორც ვკითხულობთ თვითშეფასებაში, სილაბუსი არ შეესაბამება მას. პორტფოლიოს შექმნის აღწერა, მიზანი, შედეგები, შეფასების კრიტერიუმებები განსხვავდება მოცემული ჩანაწერებისგან, რამდენადაც პორტფოლიო არის სტუდენტის ერთგვარი სავიზიტო ბარათი, რაც უზრუნველყოფს მის ადგილს შემოქმედებით ბაზარზე, ეს არის პერსონალური შემოქმედებითი პლატფორმა/ვებ გვერდი ან არსებულ პლატფორმებზე მისი პირადი ანგარიში, სადაც წარმოდგენილია სწავლის პერიოდში შესრულებული შემოქმედებითი პროდუქტები და მისი პერსონალური (დავალების მიღმა) შემოქმედებითი, დამოუკიდებელი პროექტები, მოქცეულია შესაბამის ფორმატში, რაც მიღებულია კრეატიული ინდუსტრიის სტანდარტით. პორტფოლიოს შექმნის პროცესში სტუდენტს შეიძლება ყავდეს შემოქმედებითი ხელმძღვანელი, შესაბამისი გამოცდილებით. პორტფოლიო არის სტუდენტის ვიზუალური, საპრეზენტაციო, ნამუშევრების ნაკრები,რომელშიც ნათლად ჩანს მისი შემოქმედებითი და ტექნიკური უნარები. პორტფოლიოს შექმნა შემოქმედებითი პროცესია და არ აქვს კავშირი კვლევის მეთოდებთან ან კვლევის ობიეტებთან ან ანგარიშის მომზადებასთან.

პრაქტიკული კომპონენტის ორივე სილაბუსი საჭიროებს გადახედვას, დაზუსტებას, მნიშვნელოვანია ის ზუსტად ასახავდეს მედია ხელოვნების მიმართულების სასწავლო პროგრამის შედეგს. ტერმინოლოგია და ფორმულირებები უნდა შეესაბამებოდეს მას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანთლებლო პროგრამა;
- აკადემიური პროგრამის მატრიცული რუკა;
- აკადემიური პროგრამის სილაბუსები;
- აკადემიური პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების ანალიზის შედეგად წარმოდგენილი განმარტებები შესწავლილ იქნას საგანმანათლებლო პროგრამის მხარდამჭერი კომისიის მიერ და შემუშავდეს ცვლილებები პროგრამის სრულყოფის მიზნით;
- რეკომენდებულია, მიზანმიმართულად დაკორექტირდეს პრაქტიკული კომპონენტი მედია პროდუქციის დაპროექტება (9 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტი - საკვალიფიკაციო ნაშრომი - პროექტი (18 კრედიტი);
- რეკომენდებულია, რუსულენოვანი ან მოძველებული ლიტერატურის ჩანაცვლება და განახლება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტისათვის მედია ხელოვნების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. პროგრამის კურიკულუმის ფარგლებში, ყურადღება გასამახვილებელია დარგის შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებაზე. ასევე, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების აღწერისას გამოყენებული ტერმინების, როგორიცაა "სარეკლამო დიზაინი", მისი შესაბამისი სასწავლო კურსების აკუმულირება ძირითად სავალდებულო სასწავლო კურსებში და არა სავალდებულო არჩევითში, რათა სტუდენტებმა სრულყოფილად მიიღონ დარგობრივი კომპეტენციები, რაც ასახული სასწავლო პროგრამის მიზნებში და სწავლის შედეგებში. პროგრამის თანმიმდევრულობისთვის მნიშვნელოვანია პრერეკვიზიტების გადახედვა. ასევე, სხვა ტერმინების, როგორიცაა "მედია, ქსელური და მობაილ პროდუქტები"ჩანაცვლება დარგის შესაბამისი ტერმინოლოგიით.

პროგრამაში სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარებას ძირითადად უზრუნველყოფენ სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული პრაქტიკული მეცადინეობები, რომლებიც მრავლადაა წარმოდგენილი დარგობრივ დისციპლინებში. ასევე, სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას ემსახურება სავალდებულო „პრაქტიკული კომპონენტი".

ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები, რომელთაგან სავალდებულოა 26 კრედიტის დაგროვება, ასევე თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები, რომელთაგან სავალდებულოა 15 კრედიტის დაგროვება და თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები რომელთაგან სავალდებულოა 10 კრედიტის დაგროვება, უზრუნველყოვენ ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებას.

საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფს სტუდენტთა ტრანსფერული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას, რაშიც პროგრამის განმახორციელებლებს აქტიურად უნდა გაუწიონ თანამშრომლობა მიზანმიმართულად შერჩეულმა სტაჟირების ობიექტებმა, სადაც სტუდენტებს უშუალოდ ექნება საშუალება გამოცდილი პროფესიონალებისაგან მიიღონ

პროფესიული რჩევები და შემოქმედებითად მიუდგნენ თავიანთ პრაქტიკულ შესაძლებლობებს. სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამას ქონდეს მეტი დარგობრივი მემორანდუმები, როგორც ბიზნეს ორგანიზაციებთან, ასევე შემოქმედებითი ინდუსტრიის კომპანიებთან. უნდა აღინიშნოს, რომ კარგი პრეცენდენტია სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის პროგრამის ფარგლებში არსებული სასწავლო კურსების განხორციელებისათვის, როგორიცაა "აუდიო შეფუთვა" (უსდ-ს არ აქვს შესაბამისი სტუდიები), წარმოდგენილი მემორანდუმის საფუძველზე უსდ იყენებს კომპანია"კოლექტივის" სტუდიას. კარგი პრეცენდენტია პროგრამის ფარგლებში ჯეოლაბთან თანამშრომლობა, რაც გამყარებულია მემორანდუმით და სასურველია, პროგრამის ფარგლებში ექსტრაკურიკულური აქტივობის ფარგლებში სტუდენტების ჩართულობა საერთაშორისო პროექტში - თანამედროვე ხელოვნების რეზიდენცია"არტელი-რაჭა", რაც ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა. ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შესაბამისად, უსდ ხელს უწყობს სტუდენტების საგანმანათლებლო და პროფესიულ განვითარებას. სასწავლო პროცესის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება აქვთ ჩაერთონ გაცვლით პროგრამებში, რასაც უსდ ახორციელებს პარტნიორ უნივერსიტეტებთან, და ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში, რათა განიმტკიცონ ტრანსფერული და შემოქმედებითი უნარები. სასურველია, გაფარდოვდეს ინსტიტუტთაშორისი პარტნიორობები უცხოურ უნივერსიტეტებთან საუკეთესო პრაქტიკის და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • მემორანდუმები; • თვითშეფასების დოკუმენტი; • ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, გაფართოვდეს თანამშრომლობა პრაქტიკის დარგობრივ ობიექტებთან და შემოქმედებითი მიმართულების უცხოური უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებთან, შემუშავდეს შესაბამისი მემორანდუმები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში" სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა - სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, ჯგუფური მუშაობა, ელექტრონული სწავლება, ელექტრონული რესურსით სწავლება. ძირითადი სავალდებული სასწავლო კურსების სილაბუსებში, სწავლებისა და სწავლის მეთოდებში

არ არის გამოყენებული დამოუკიდებელი მუშაობა, იმ დროს, როდესაც ყველა სასწავლო კურსში გათვალისწინებულია დამოუკიდებელი მუშაობის საათები. სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია სწავლება - სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები, მაგალითად, ევრისტიკული მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვა. თითოეულ სასწავლო კურსში სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამა; • საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები.
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, სწავლა-სწავლების მეთოდები გაიწეროს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმისა და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის მიხედვით. თვითშეფასების და კურიკულუმის დოკუმენტებში, სტუდენტის შეფასების სისტემა ზოგადად არის წარმოდგენილი და არ შეიცავს შეფასების ყველა იმ ფორმის კრიტერიუმს, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. აღნიშნულ დოკუმენტებში, შეფასების სისტემა შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: „სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კომპონენტში კრედიტების მიღება/დაგროვება სწავლების პროცესში სტუდენტის აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება“. დოკუმენტებში, აღნიშნულია შეფასების ფორმების ის კომპონენტები (ზეპირი/წერითი გამოცდა, ტესტი, ქვიზი, სემინარი/პრეზენტაცია-დემონსტრირება, პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაო და სხვ.), რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში და იზომება შეფასების კრიტერიუმებით. აღნიშნული შეფასების სისტემა, სრულად 100 ქულას მოიცავს და ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით ქულას ითვალისწინებს. შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან, შუალედური შეფასების კომპონენტების ჯამური ქულა 60-ია, დასკვნითი შეფასება კი, 40 ქულით განისაზღვრება. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლება სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებზე აქვს

მიღებული მინიმუმ 25 ქულა. ზოგიერთი სასწავლო კურსის (რენდერი, ტიპოგრაფია, ხმის დიზაინი) შეფასება, ითვალისწინებს კურსის განმავლობაში, ყველა საშინაო დავალების მომზადებას, რაც გამოცდებზე დაშვების წინაპირობაა. შეფასების სისტემაში დადგენილია შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სტუდენტს გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუკი დააგროვებს შეფასების მაქსიმალური ქულის 51 %-ს.

საკვალიფიკაციო ნაშრომის - პროექტის შეფასება ხდება ორი შუალედური პრეზენტაციისა და დასკვნითი გამოცდის ქულათა შეჯამებით, შემდეგი წილობრივი გადანაწილებით: 30-30-40. შუალედური შეფასებების და დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარი დადგენილია. საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. საკვალიფიკაციო ნაშრომს აფასებს 3 წევრისაგან შემდგარი კომისია, შეფასების კრიტერიუმებისათვის გაწერილი ქულების მიხედვით.

პრაქტიკული კომპონენტი - მედიაპროდუქციის დაპროექტება ფასდება 100 ქულიანი სისტემით და ითვალისწინებს:

- აქტივობა/დასწრება/პრეზენტაციას - პრაქტიკული კომპონენტის შუალედური შეფასება;
- დასკვნითი გამოცდის შეფასებას - პრაქტიკის ანგარიში/პრაქტიკული ნამუშევრი - მოხსენება და პრეზენტაცია.

შეფასების ყველა კრიტერიუმი ჩაშლილია პრაქტიკული კომპონენტის სილაბუსში.

პროგრამის კურიკულუმის შესაბამისად, შეფასებაში FX-ის მიღების შემთხვევაში (მაქსიმალური შეფასების 40-51 ქულა), სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში. მაქსიმალური ქულის 40 და ნაკლების მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F - ჩაიჭრა. მან საგანი თავიდან უნდა შეისწავლოს.

შეფასების სისტემა, ვრცლად არის ჩამოყალიბებული პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში, რომელთა მიხედვით, შეფასება შედგება რამდენიმე კომპონენტისაგან (საშინაო დავალება, ტესტირება, პრეზენტაცია, რეფერატი, პრაქტიკული დავალება, პროექტი/საკურსო ნაშრომი, გრაფიკული სამუშაო, სემინარული მუშაობა, შუალედური და დასკვნითი გამოცდა). თითოული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმი დეტალურად არის გაწერილი სილაბუსში და 100 ქულიანი შეფასება, კომპონენტების მიხედვით, ხვედრითი წილებით არის გადანაწილებული. ამდენად, შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და ის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია. სწავლების განმახორციელებელი პერსონალი, სილაბუსს სტუდენტებთან ერთად განიხილავს სასწავლო კურსის დასაწყისში. უზრუნველყოფილია შეფასების შედეგის გაცნობას სტედენტისთვის, რომელიც იღებს უკუკავშირს მიღწეული შედეგის შესაბამისად. სასწავლო კურსის სილაბუსებში წარმოდგენილი შუალედური შეფასებება არის მრავალკომპონენტიანი, მაგრამ ყველა სილაბუსში იდენტური სქემაა გამოყენებული, რაც უნდა შეიცვალოს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის და შეფასების ასახვის ელექტრონული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებას მიღწეული შედეგების თაობაზე, მის პირად გვერდზე, ინდივიდუალურად. აღნიშნული სისტემის საშუალებით, სტუდენტს აქვს წვდომა სხვადასხვა ინფორმაციაზე (სილაბუსი, არჩევითი საგნები, დასწრება).

სტუდენტებთან ინტერვიურებისას, გამოიკვეთა, რომ სტუდენტებს აქვთ შეფასების შედეგების გასაჩივრებისა და შეფასების გადახედვის საშუალება, თუმცა, არც ერთ მათგანს არ უსარგებლია ამ სერვისით. ამგვარად, გამოკითხულ პირებს წარმოდგენა ჰქონდათ აპელაციის შესაძლებლობაზე და პროცედურაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტი და მისი შეფასების წესი;

• ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, სასწავლო კურსების შეფასების სქემა წარმოდგენილ იქნას საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა „მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები გრაფიკულ დიზაინში“ ახალია, მას ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებულები. აკრედიტაციის კომისიამ ინტერვიუ ჩაატარა მომიჯნავე სპეციალობის, „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ სტუდენტებთან. ადმინისატრაციასა და სტუდენტებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ახალი პროგრამის შექმნის ინიციატივა, სწორედ სტუდენტებისაგან მომდინარეობს. მათ სურდათ, უფრო გაეღრმავებინათ ცოდნა გრაფიკული დიზაინის სასწავლო პროგრამებში (მულტიმედია დიზაინი, კომპიუტერული გრაფიკა, ფოტოგრაფია, მონტაჟი, ხმის დიზაინი). ამ სურვილს, ისინი აფიქსირებდნენ პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან

შეხვედრებისას. პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის მუშაობაში ჩართული იყო სტუდენტი, რომელიც მონაწილეობდა სტუდენტებისთვის ახალ პროგრამის ინიცირებაზე ინფორმაციის მიწოდების, მათი დაინტერესების კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების სამუშაოებში. ჩატარებულ იქნა სესიები სტუდენტების ახალი პროგრამით დაინტერესების თვალსაზრისით. სტუდენტმა, ასევე, გასწია სამუშაო სტუდენტთა ხელშეწყობის მონაცემთა შეგროვების მიმართულებით.

ინტერვიურებისას გამოჩნდა, რომ სტუდენტები სასწავლო კურსის შესახებ ინფორმაციას იღებენ სილაბუსების და პედაგოგების მეშვეობით, რომლებიც დეტალურად განიხილავენ სასწავლო კურსის პროგრამას პირველივე ლექციაზე. სილაბუსები ატვირთულია და ხელმისაწვდომია სტუდენტისთვის უნივერსიტეტის საიტზეც, ინდივიდუალური სარგებლობის ელექტრონულ ბაზაში. საჯაროობის საშულებით, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, არჩევითი საგნების შემთხვევაში, წინასწარ გაეცნოს კურსის შინაარს და გააკეთოს შესაბამისი არჩევანი, ან აკადემიური მენეჯერთან შეთანხმებით აირჩიოს ესა თუ ის სასწავლო კურსი.

სტუდენტებმა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ საკონსულტაციო საათების მიღმა, სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური კონსულტაციის მიღების საშუალება, შეუფერხებლად და შეუზღუდავად, რითიც ყოველთვის სარგებლობენ. სტუდენტებსა და პედაგოგებს ინტენსიური ურთიერთობა აქვთ სასწავლო პროცესის, პრაქტიკული მეცადინეობების განხორციელებისას. სტუდენტებმა აღნიშნეს აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის მუდმივი მზადყოფნა მათი აკადემიური მიღწევების სრულყოფის, დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით. შუალედური შეფასებისას გამოვლენილი სტუდენტის სუსტი მხარის გასაუმჯობესებლად, პედაგოგი აქტიურად მუშაობს სტუდენტთან. სტუდენტებისთვის, ცნობილია შეფასების სისტემა, მახასიათებლები, კრიტერიუმები. მათ აქვთ ინფორმაცია შეფასების გასაჩივრების შესაძლებლობის და პროცედურის შესახებ, თუმცა, არასოდეს მიუმართავთ აღნიშნული სერვისისათვის.

სტუდენტების ინტერვიურებისას, დადასტურდა მათი თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სხვადასხვა სახის კითხვარების შევსების (სასწავლო პროგრამების, პედაგოგების შესახებ) გზით. მათ იციან აღნიშნული სამსახურის არსებობა უნივერსიტეტში. კითხვარებში, სტუდენტებს აქვთ საშუალება დააფიქსირონ საკუთარი აზრები, იდეები, მოთხოვნები, რასაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან აქვს შესაბამისი რეაგირება. მაგალითად, სტუდენტების მიერ დაფიქსირებული წავლების ჰიბრიდულ რეჟიმის გაუქმება, გათვალისწინებულ იქნა. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ომბუდსმენის (GAU ომბუდსმენი) სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების მხარდაჭერას რიგ საკითხებთან (ინფორმირება, შუამდგომლობა, რჩევა) დაკავშირებით. ინტერვიუირებულმა პირებმა აღნიშნეს, რომ ხშირად იმართება სტუდენტების შეხვედრა დეკანთან და მათთვის აქტუალური საკითხების განხილვა.

უნივერსიტეტის კარიერული სამსახური, ხელს უწყობს სტუდენტების დასაქმებას და მათთვის ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ელექტრონული ფოსტის საშუალებით. სამსახური სტუდენტებს სთავაზობს დახმარებას ეფექტური CV–ის შედგენაში. ჰუმანიტარული მეცნიერებების და ლიბერალური განათლების სკოლაში (რომლის ფარგლებში მოიაზრება აღნიშნული პროგრამა), მოქმედებს გაცვლითი პროგრამები. ინტერვიურებული ორი სტუდენტი გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდა პორტუგალიაში.

სტუდენტებმა აღნიშნეს, უნივერსიტეტის მხრიდან სტარტაპ იდეების მხარდაჭერა (თიბისი სტარტაპერი). ამ მიზნით, ტარდებოდა ლექციები, სემინარები, იდეების გამომუშავების და დაკავშირებით, თუმცა, მათ ამ პროექტში მონაწილეობა არ მიუღიათ. სტუდენტები გადიან პრაქტიკას პროფესიულ ორგანიზაციებში.

გამოკითხულებმა აღნიშნეს, რომ მათთვის ხელმისაწვდომია სასწავლო მასალა, რაც მიეწოდებათ პედაგოგის მიერ, ციფრული სახით ან შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკის ელექტრონული და წიგნადი ფონდით, სადაც სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურა იძებნება.

უნივერსიტეტში იმართება სამეცნიერო კონფერენცია, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ გამოსვლა,

მათი ნაშრომები იბეჭდება კრებულში. გამოკითხული სტუდენტები არ ყოფილან ჩართულნი კონფერენციებში. სტუდენტები მონაწილეობა იღებენ კურიკულუმს გარეთ დაგეგმილ აქტივობებში. ესაა, ძირითადად, სტუდენტური შეკრებები და კოსტიუმირებული წვეულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმაათლებლო პროგრამა; • ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკის გვერდი http://gau.library.ac.ge/ ; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://www.gau.edu.ge/ka ; • გაცვლით პროექტებში მონაწილეობის დოკუმენტები; • თვითშეფასების ანგარიში;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის გამხორციელებაში ჩართულინი არიან როგორც დარგის ასევე სხვა მიმართულების აკადემიური და მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენს 14-ს, (5 პროფესორი, 9 ასოცირებული პროფესორი), მათ შორის 13 აფილირებულია. აკადემიურ პერსონალს გააჩნია შესაბამისი აკადემიური, სამეცნიერო და/ან პრაქტიკული გამოცდილება. მათი კვალიფიკაცია დასტურდება სამეცნიერო ნაშრომებით, კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებებით ან პრაქტიკული საქმიანობით. მოწვეული პერსონალი სასწავლო კურსის შესაბამისი დარგის პრაქტიკოსი ან სხვა უნივერსიტეტის პროფესორია. ამ შემთხვევაში მათი კვალიფიკაცია დასტურდება დარგობრივი სამუშაო გამოცდილებით და რიგ შემთხვევაში პუბლიკაციებითაც. უნივერსიტეტში მოქმედი „აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის სამუშაო აღწერილობა და მათი შეფასების წესი“-ს თანახმად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვაში, გარდა სასწავლო პროცესში მონაწილეობისა, განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობის ვალდებულება, რაც აძლიერებს პერსონალის ჩართულობას უნივერსიტეტის აკადემიურ და არააკადემიურ საქმიანობაში. პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესს სრულად. პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია და გამოცდილება, რათა მოახდინონ სასწავლო პროგრამის შემუშავება/განახლების პროცესის წარმართვა-კოორდინირება. გამოხატულია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მონაწილეობა/ხელშეწყობა სასწავლო პროგრამის განხორციელების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის სამუშაო აღწერილობა და მათი შეფასების წესი“ • პერსონალის პირადი საქმეები; • ხელშეკრულებების ფორმები;

• ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ახალია, შესაბამისად, პროგრამის განმახორციელებელი და მასში ჩართული პირების შეფასება არ განხორციელებულა. თუმცა, ადგილზე ინტერვიუების დროს სტუდენტებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან შეხვედრისას სტუდენტს აქვს უფლება შეაფასოს ლექტორი, მისი კომპეტენცია, გადმოცემის უნარი და კურსის სტრუქტურა. რაც ინტერვიუების პროცესში დაადასტურეს მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა, ასევე შეუძლიათ სადავო საკითხების შემთხვევაში მიმართონ ომბუცმენს. კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა ხდება უსდ-ს მიერ, უსდ და სკოლები ხელს უწყობენ და კოორდინაციას უწევენ კვლევით აქტივობას. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს კვლევით საქმიანობაში, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობაში. თანდართულ დოკუმენტაციაში, უსდ-ს მემორანდუმებს ახლავს გაცვლით პროგრამებში მონაწილე აკადემიური პერსონალის რაოდენობა, იმ პროგრამების ფარგლებში, რომელსაც დღესდღეობით ახორციელებს. შემოქმედებითი მიმართულების პერსონალის განვითარების პრეცენდენტი აღნიშნული არ არის, თუმცა ადმინისტრაციულმა პერსონალმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემოქმედებითი პროექტები, მათი ჩართვა გაცვლით პროგრამებში ასევე იქნება მხარდაჭერილი უსდ-ს მიერ. პროფესიული განვითარების თვალსაზრისით უსდ-ს აკადემიური პერსონალი მონაწილეობს Erasmus+ მობილობის პროგრამებში,საერთაშორისო კონფერენციებში და ვორქშოფებში. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში, რეგულარულად ტარდება აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა, როგორც დანარჩენ შემთხვევაში ამ პროგრამაზე კვლევა ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა, მომიჯნავე პროგრამების პერსონალთან ჩატარებული კვლევები იძლევა სრულ სურათს მიმდინარე პროცესზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამაში ჩართული პირების რეზიუმეები; • მიმართულების აკადემიური პერსონალის სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართულობის მონაცემები; • ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
➢ პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში“ ხორციელდება ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის ბაზაზე, რომლის ინფრასტრუქტურა და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტის შენობაში განთავსებულია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი კომპიუტერული ტექნიკა, ტექნოლოგიური ლაბორატორია, ფოტო აპარატურა, ხმის სტიდია (მემორანდუმის საფუძველზე). უნივერსიტეტში არსებული სასწავლო ლაბორატორიების კომპიუტერები სრულად არის აღჭურვილი იმ პროგრამული პროდუქტით, რომელსაც საბაკალავრო პროგრამის სხვადასხვა სასწავლო კურსის ფარგლებში შეისწავლიან სტუდენტები: Adobe PhotoShop, Adobe Ilustrator, Adobe InDesign, 3D-MAX, Adobe after effects, Adobe Audition ეს საშუალებას აძლევს სტუდენტს მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება და განაპირობებს სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტში მოქმედებს ბიბლიოთეკა, რომელიც ემსახურება სტუდენტებსა და აკადემიური პერსონალს. მსურველებს შეუძლიათ ისარგებლონ სამკითხველო დარბაზით, ინტერნერში ჩართული საინფორმაციო-ტექნიკური საშუალებებით. ბიბლიოთეკა მოიცავს ბეჭდურ და ელეტქრონულ ფონდს, სხვადასხვა ფორმატის გამოცემებს. სტუდენტს შეუძლია ადგილზე გაეცნოს ამა თუ იმ სახის მასალას, ბიბლიოთეკის კატალოგში მოიძიოს წიგნების, რიდერების, სხვა სასწავლო მასალების ელექტრონული ვერსიები. ბიბლიოთეკაში, ხელმისაწვდომია, საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული სახელმძღვანელოები და სხვა ლიტერატურა, ვიდეო რესურსები. სილაბუსებშიც მითითებულია, არის თუ არა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სასწავლო მასალა. ბიბლიოთეკის ფონდი შეიცავს დიზაინის შესწავლისათვის საჭირო საბაზისო ლიტერატურას, რომელიც აკრედიტაციის კომისიამ პირადად ნახა. ბიბლიოთეკის კომპოუტერებიდან შესაძლებელია წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე - ELSEVIER, EBSCOHOST და სხვა. ბიბლიოთეკის წიგნადი რესურსი შევსებადი და განახლებადია. სტუდენტს ახალდამატებული მასალის შესახებ ელექტრონულად ეგზავნება ინფორმაცია. უნივერსიტეტში მოქმედებს, ბიბლიოთეკის მიერ წიგნის მოთხოვნის განსაზღვრული პროცედურა. ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში მოქმედებს ჯეო-ლაბი - მძლავრი კომპიუტერებით, პროგრამებით აღჭურვილი ტექნიკური ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტურ განხორციელებას. აქვს არის სივრცეები ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობისათვის, საკონფერენციო დარბაზი, სველი წერტილები, გათბობის სისტემა. უნივერსიტეტში მოწყობილია

შესაბამისი ინფრასტრუქტურა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. ამრიგად, პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი; ● თვითშეფასების ანგარიში; ● საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი (ადგილზე დათვალიერება); ● ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზა (https://www.gau.edu.ge/ka/e-bases); ● ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს არ წარმოუდგენია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში“ ბიუჯეტი. ინტერვიუების საფუძველზე განმარტებული იქნა მიზეზი, თუ რატომ არ იყო დამოუკიდებელი პროგრამული ბიუჯეტი შემოთავაზებული, რასაც ასევე ადასტურებს პროგრამის თვითშეფასების ანგარიშიც. წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამა სხვა პროგრამების მსგავსად დაფინანსდება უნივერსიტეტის და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის ბიუჯეტიდან. ის ასევე მიიღებს ფინანსურ მხარდაჭერას პერიოდულად ერთჯერადი წყაროებიდან. პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტის დანართებში წარმოდგენილი სკოლის ბიუჯეტიდან შესაძლებელია დაინტერესებულმა მხარემ მიიღოს ინფორმაცია სკოლის პრიორიტეტული მიმართულებების თაობაზე, მათ შორის სახელდება: კვლევითი საქმიანობა და ინტერნაციონალიზაცია, პესრონალის განვითარება, მათი ნაშრომების, წიგნების გამოცემა, სტუდენტთა წახალისება, მატერიალურ-ტექნიკური რესურსი განახლება, ბიბლიოთეკის ფონდის შევსება. საერთო ბიუჯეტიდან გამომდინარე, რომელიც გათვლილია 2020-2021 წლისთვის, ძნელია განისაზღვროს ახალი პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე წილობრივი რაოდენობა, რაც შეიძლება გადანაწილდეს მოცემულ ახალ საგანმანათლებლო პროგრამაზე. ექსპერტთა ჯგუფმა მასალების შესწავლისა და საკითხის განხილვის შემდეგ გამოკვეთა პროგრამული ბიუჯეტის შემუშავების საჭიროება საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომცდადანარე, რომლის მომზადება ასევე შესაძლებელი იყო სავარაუდო ბიუჯეტის სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; • პროგრამის ბიუჯეტი; • აკრედიტაციის პროცესში წარმართული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: რეკომენდირებულია, შემუშავდეს პროგრამის საჭიროებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, ფინანსური რესურსების გადანაწილების დოკუმენტი (დამოუკიდებელი პროგრამული ბიუჯეტი).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში დასაქმებულია მაღალი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული პერსონალი, რომელიც ამავდროულად არის უსდ-ს აკადემიური პერსონალი და ზედმიწევნით დეტალურად ფლობს აკადემიური პროცესების ძირეულ საკითხებს

და ერთიანი მენეჯმენტის ფორმატში არეგულიებს აკადემიურ და კვლევით პროცესებს, ადმინისტრირებისა და სერვისების თემებს აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საკუთარ მუშაობას წარმართავს ქართულ კაანონმდებლოასა და შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებზე დაყრდნობით, ასევე იზიარებს ხარისხის საერთაშორისო გარეაქტორების ნორმატიულ დებულებებსა და საუკეთესო გამოცდილებას. სამსახური საკუთარ საქმიანობას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი ციკლის (*დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე- განავითარე PDCA*) ფარგლებში, რისთვისაც შემუშავებული აქვს სამოქმედო დოკუმენტები და რეგულაციები (მათ შორის: *ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ხარისხის უზრუნველყოფის ინსტიტუციური პოლიტიკის დოკუმენტი; პროგრამის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია; სწავლის შეფასების მექანიზმები და ინსტრუმენტები, რომლის საფუძველე საგანმანათლებლო პროგრამისთვის მზადდება ანალიზური რუკები; გამოკითხვის კითხვარების*), რომლის მეშვეობით ცდილობს ხარისხის კულტურის დანერგვას ისტიტუციის ფარგლებში. შესაბამისად, დაწესებულება სწორი მიმართულებით ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას. პროგრამის შემუშავებას, განვითარებას წარმართავს პროგრამული კომისია, რომლის შემადგენლობაში შედის ყველა იმ დაინტერესებულ პირთა გუნდის წარმომადგენელი (აკადემიური და მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალი, პრაქტიკისა და დასაქმების ობიექტების წარმომადგენლები, სტუდენტი), რომელთაც შემდგომ ეტაპზე უნდა ითანამშრომლონ საგანმანათლებლო პროგრამასთან. ასეთივე ფართო წარმომადგენლობითი ფორმატი ქონდა თვითშეფასების ჯგუფს. დეტალურად იყო გაწერილი ჯგუფის წევრთა დავალებები აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად. ინტერვიუებმა აჩვენა ამ ჯგუფების წევრთა (განსაკუთრებით აკადემიური პერსონალის, სტუდენტისა და დამსაქმებელთა) აქტიური ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში, რაც ნიშნავს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მაქსიმალურად ცდილობს გააზიაროს დაწესებულებაში მიმდინარე კონკრეტული პროცესები. შესაბამისად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში არის მეტწილად ინფორმატიული და ანალიზური, რაც კარგად ჩანს თვითშეფასების ჯგუფის მიერ ანგარიშში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი, გასაუმჯობესებელი მხარეებისა და გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილი ცალკეული აქტივობის გააზრებასა და განსაზღვრაში, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს გაზრებული აქვს, რომ დარგი სწრაფად გავნითარებადია და მათი ამოცანაა, პერიოდულად დაკვირვება აწარმოონ დარგში მიმდინარე პროცესებზე და აისახოს ისინი საგანმანათლებლო პროგრმაში.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებამდე შესწავლილ იქნას სამუშაო ბაზარი, რაც დანართი დოკუმენტებით დასტურდება. წარმოდგენილი შრომის ბაზრის ანალიზი, როგორც ანალიზის ავტორები მიუთითებენ (გვ 3) შესრულებულია ზოგადი და კერძო შემთხვევისა და ცალკეული ასპეტების გაანალიზებით და მონაცემები დამუშავებულია განათლების სექტორთან მიმართებაში. დოკუმენტი საკითხს უყურებს ლოკალურ და გლობალურ ჭრილში. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის შემუშავება ერთ წელს მოიცავს, ბაზრის მონაცმები აღებული იყო 2018-2020 წლების მასშტაბში. მონაცმეები შეგროვდა კერძო დასაქმების სააგენტოს ვებგვერდიდან (hr.com.ge). ამასთან გლობალური ტენდეციების გააზრების მიზნით მიმოხილულ იქნა ამ სფეროში საქართველოში უკვე არსებული და გამოქვეყნებული კვლევები. შრომის ბაზრის შესწავლა მოხდა ასევე კონკრეტული მეთოდოლოგიით. დოკუმენტში მოცემულია სტატისტიკა, რაც ჩაშლილია თემატურად; შესწავლილია ასევე ანაზღაურების საკითხები, კვლევაში ფოკუსირდება უმაღლესი განათლების თემები (მიწოდება და მოთხოვნა/დასაქმება);

ამ მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამები ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მწირია, თუმცა ბაზარს ამ ეტაპზე აქვს მოთხოვნა სპეციალისტებზე (საქართველოში 4 ავტორიზებული სასწავლო დაწესებულება ახორციელებს საბაკალავრო საფეხურზე ანალოგიურ პროგრამას. რაც მომავალში შესაძლოა შეწყდეს, თუ კი უსდ-ების სტატუსი არ შეიცვლება). ანალიზზე მომუშავე ჯგუფის კვლევის დოკუმენტში ცალკე თავი დაეთმო მედიაპროდუქციისა და ვიზუალური მეთოდების სფეროში მოაზრებული ბაზრის გამოწვევებზე დაკვირვებას. დოკუმენტის შემაჯამებელ

ნაწილში მოცემული იყო არგუმენტები, რის საფუძველზეც საგანმანათლებლო პროგრამის საინიციატივო ჯგუფმა პროგრამის შემუშავების დროს მეტი ყურადღება მიაქცია ტექნიკური და ტექნოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარებას, ისევე როგორც კონცეპტუალური უნარების ფართო სპექტრით წარმოდგენას საგანმანათლებლო პროგრამაში. დასკვნაში ასევე ხაზგასმულია, რომ მოთხოვნა ჭარბობს მიწოდებას ბაზარზე, რაც ერთგვარი საფუძველია პროგრამის შემუშავებისა და მისი აკრედიტაციის პროცესში ჩართვისა. აღსანიშნავია, რომ უსდ-ს დაგეგმილი აქვს პერიოდულად ბაზრის კვლევის განახლებაც, გააზრებული აქვს რა, დარგის განვითარების ტემპი, რათა კონკურეტულ გარემოში დაიმკვიდროს საკუთარი ნიშა.

პროგრამის შემუშავების პროცესში მომზადდა ასევე პროგრამის ანალოგების მიმოხილვა, რომლის ფარგლებში შესწავლილ იქნა ანალოგიური პროგრამების *კანადის, პიცბურგის , ჩრდილოეთ ტეხასის,ფლორიდის, ორეგონის, დასავლეთ ვოშინგტონის. ცენტრალური ფლორიდის, მიჩიგანის, პენსილვანიის, ნიუჯერსის, ჰარტფორდის უნივერსიტეტების (აშშ)* კურიკულუმები და მათი პრაქტიკული გამოცდილება. წარმოდგენილ ანალიზურ დოკუმენტში მოცემულია მხოლოდ შერჩეული (მაგ., ავსტრალიის) ცალკეული უნივერსიტეტების კურიკულუმების მეტ-ნაკლებად დეტალური შინაარსები და აღწერილობა. სასურველი იყო დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელ ჯგუფს შეესრულებინათ შედარებითი ანალიზი და მოცემულობაში არ დარჩენილიყო მხოლოდ დესკრიფციული ნარატივი. ასევე შემდგომში სტუდენტების ფართო ინფორმირებისთვის ასევე სასურველი იქნებოდა, თუ შემდგომ ეტაპებზე შედარებითი ანალიზი მომზადდებოდა ევროპული წამყვანი უნივერსიტეტების კურიკულუმების შესწავლის საფუძველზე, რათა ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს არამხოლოდ ამერიკული, არამედ ევროპული საგანმანათლებლო სივრცეებიც, სადაც მოხდება დარგში არსებული საუკეთესო გამოცდილებისა და პრაქტიკების გაზიარება, შესაბამისად, მათი დანერგვა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ასევე კარგი იქნებოდა, თუ მომავალში ანალოგიური დოკუმენტი მომზადდებოდა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებისთვისაც, რათა ბაზარს ემსახურებოდეს კონკურეტუნარიანი დარგის სპეციალისტები.

ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების შედეგად დადასტურდა პროგრამის განმახორციელებლი პირების ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. ექსპერტებმა ინტერვიუების შედეგად მიიღეს განმარტებითი ინფორმაცია ცალკეული დასაზუსტებელი და ბუნდოვანი საკითხების შესახებ, რამაც შეავსო თვითშეფასების ანგარიშის დანართებში წარმოდგენილი ინფორმაცია..

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის ინსტიტუციური პოლიტიკის დოკუმენტი;
- პროგრამის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შრომის ბაზრისკვლევა;
- პროგრამის ანალოგები;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია მომზადდეს ქართულ და ევროპულ, ისევე როგორც ამერიკულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამის შედარებითი ანალიზი;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს-ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სკოლის ანალოგიური სამსახურებთან ანამშრომლობით პასუხიმგებლობით უდგება ხარისხის სამსახურის დებულებასა და მოქმედ რეგულაციებში გაწერილ პროცედურებს და კონკრეტული ვადების დაცვით ანორციელებს მათ. ის არსებით მნიშვნელობას ანიჭებს გარე შეფასებას და აქტიურად ახორციელებს კომუნიკაციებს როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გარე აქტორებთან, ისე დარგის ექსპერტებთან. საექსპერტოდ წარმოდგენილი საგანმანმანათლებლო პროგრამა ახალია და შესაბამისად, მისი გარე შეფასება აქამდე, ბუენბრივია, ჯერ ვერ განხორციელდებოდა სსიპ-განათლების ხარისის განვითარების ეროვნული ცენტრის მხრიდან. მაგრამ ინტერვიუებიდან და დანართი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ უსდ-ს შემუშვებული აქვს გარე შეფასების კონკრეტული მექანიზმები (კურსდამთავრებულთ და დამსაქმებელთა გამოკითხვები). ასევე პროგრამის მხარდამჭერი კომისია აქტიურად თანამშრომლობდა პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან და იღებდა კონკრეტულ რჩევებსა და იზიარებდა მოსაზრებებს საგანმანათლებლო პროგრამის შედგენის პროცესშივე.

საგანმანათლებლო პროგრამის შედგენის შემდგომ აკადეიური პროგრამის განმახორციელებელი პირების ინციატივით პროგრამა შეფასდა დარგის ქართველი ექსპერტის მხრიდან, რომელმაც უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის წარუდგინა მხარდამჭერი წერილი.

ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა პროგრამის მნიშვნელობა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, დარგის სპეციალისტების მოთხოვნა შრომის ბაზრის მხრიდან და დარგში ანალოგიური პროგრამების სიმცირე, მაშასადამე, აკადემიურ სივრცეში დარგის ექსპერტთა სიმწირე, ურჩევს პროგრამის განმახორციელებლებს პროგრამის განხორციელების შემგომ ფაზაში მოხდეს მისი შეფასება უცხოელი დარგის ექსპერტების მხრიდან მომავალში დარგის სწავლების ინოვაციური მეთოდებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

ვიზიტის დროს განხორციელებულმა ინტერვიუებმა ექსპერტთა ჯგუფს შეუქმნა კონკრეტული წარმოდგენა პროგრამის პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენელთა და პოტენციურ დამსაქმებელთა მეტ-ნაკლებად ჩართულობის შესახებ აკადემიურ პროცესებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გარე შეფასების მხარდამჭერილი წერილი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საგანმანათლებლო პროგრამის ამუშავების შემდგომ სასურველია პროგრამა შეფასებულ იქნას დარგის უცხოელ ექსპერტთა მიერ, მისი შემდგომი განვითარებისა და დარგში კონკურენტუნარიანი სპეციალისტების გამოშვების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს-ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ხარისხიზ უზრუნველყოფის სამსახურს ინსტიტუციის ფარგლებში მოქმედ რეგულაციათა შორის ჩამოყალიბებული აქვს მონიტორინგის სისტემა შესაბამისი მექანიზმები, რომელიც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო და კვლევითი პროცესების გაუმჯობესებას. პროგრამული მონიტორინგის პროცესში მონაწილეობას იღებენ აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

საგანმანათლებლო პროგრამის სისტემური მონიტორინგი მიმდინარეობს სულ მცირე ორჯერ წელიწადში ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობით. მონიტორინგის პროცესში ერთ-ერთი არსებითი მექანიზმია გამოკითხვები, რომელთა შედეგების გადამუშავების შემდეგომ ანალიზური მასალა გაზიარებულია ინსტიტუციისთვის. შედეგების ანალიზი საშუალებას აძლევს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გუნდს ჩამოაყალიბოს საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები და დაგეგმოს გასაუმჯობესებელი აქტივობები, რომელთა მიწოდება ხდება პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის.

მოცემულ ეტაპზე წარმოდგენილი სააკრედიტაციო პროგრამის მიმართ მონიტორინგი ვერ განხორციელდებოდა, ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამა ახალია. პროგრამის განხორციელების შემდგომ სასურველია ინსტიტუციაში მონიტორინგის პროცესი, საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხიზ უზრუნველყოფის სამსახურის მექანიზმები;
- ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის განხორციელების შემდგომ სასურველია ინსტიტუციაში მონიტორინგის პროცესი, საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფის მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
შპს-ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა *„მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში“*
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 32

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

ნინო ქიმერიძე

ნინო ლიპატელიანი

მარინე ხიზანიშვილი

ქეთევან ოჩხიკიძე